საქართველოს თავდაცვის ძალების პირადი შემადგენლობით დაკომპლექტების სისტემის სრულყოფის ძირითადი მიმართულებები

ბრიგადის გენერალ-მაიორი თენგიზ შუბლაძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
თადარიგის გენერალ-მაიორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
საინჟინრო უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი

აბსტრაქტი

დღეს ჩვენს ქვეყანაში არსებობს ობიექტური წინააღმდეგობა თავდაცვის ძალების მიერ განსაზღვრული ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და ხარისხის მქონე ადამიანური რესურსის მოთხოვნასა და ამ მოთხოვნების უზრუნველსაყოფად სახელმწიფოს ეკონომიკური, დემოგრაფიული, იდეოლოგიურ და სოციალურ-სამართლებრივ შესაძლებლობებს შორის. ამ წინააღმდეგობის გამწვავების ხარისხი აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული ჩვენი ქვეყნის სამხედრო ორგანიზაციის დაკომპლექტების სისტემის სრულყოფის პროცესში. აღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს თავდაცვის ძალების დაკომპლექტების ყველაზე ოპტიმალურ ხერხად მიგვაჩნია შერეული ხერხით დაკომპლექტება, რაც გულისხმობს, რომ სამხედრო დანაყოფის ის თანამდებობები, რომლებიც ძირითადად განსაზღვრავენ მისი საბრძოლო მზადყოფნისა და ბრძოლისუნარიანობის დონეს, ასევე რომელთა მომზადებას სჭირდება მეტი დრო და დიდი რესურსი, უნდა დაკომპლექტდეს საკონტრაქტო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებით, ხოლო დანარჩენი თანამდებობები-წვევამდელებით.

საკვანძო სიტყვები:
თავდაცვის ძალების დაკომპლექტება, დაკომპლექტების პრინციპები, დაკომპლექტების ხერხები, დაკომპლექტების რესურსი, დაკომპლექტებაზე ზემოქმედების ფაქტორები.

THE MAIN DIRECTIONS OF IMPROVING THE PERSONNEL RECRUITMENT SYSTEM OF THE GEORGIAN DEFENSE FORCES

BRIGADIER GENERAL TENGIZ SHUBLADZE
DOCTOR OF HISTORY, PROFESSOR, MAJOR GENERAL (R),
HEAD OF ENGINEERING SUPPORT DIVISION,
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

ABSTRACT

Today in our country there is an objective contradiction between the demand for human resources with the knowledge, skills and quality defined by the Defense Forces and the economic, demographic, ideological and socio-legal capabilities of the state to meet these requirements. The degree of aggravation of this resistance must be taken into account in the process of improving the recriuting system of our country's military organization. Based on the above, we consider the most optimal way of complectation the Georgian Defense Forces to be a mixed way, which means that the positions of the military unit, which mainly determine its level of combat readiness and combat power, as well as those that require more time and resources, should be staffed by contract service. And other positions – with conscripts.

We believe that this model of complectation of the defense forces is fully fits with the interests of our country, as well as its capabilities.

KEYWORDS:
Defense Force Recruitment, Recruitment Principles, Recruitment Techniques, Recruitment Resource, Influence Factors on Recruitment.

შესავალი

დღეს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო დგას მნიშვნელოვანი პრობლემის წინაშე, რაც მდგომარეობს თავდაცვის ძალების პირადი შემადგენლობით დაკომპლექტებაში.

მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე ეტაპზე თავდაცვის სამინისტროს მიერ ბევრი რამ კეთდება ამ პრობლემების აღმოფხვრის კუთხით (ხელფასების ზრდა, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, ღირსეული სოციალური და სადაზღვევო პაკეტების შეთავაზება და სხვა), კიდევ ბევრი რამ რჩება მოსაგვარებელი.

სამწუხაროდ თავდაცვის სფეროში მოქმედმა საკანონმდებლო ბაზამ მაქსიმალურად შეუწყო ხელი ახალგაზრდების ჯარში სამსახურისგან დისტანცირებას. საზოგადოებაში გაჩნდა მოსაზრება (ამას ხელი შეუწყო ზოგიერთი ყოფილი თავდაცვის მინისტრის, თინა ხიდაშელის, ხედვამაც), რომ სავალდებულო სამხედრო სამსახურზე უარის თქმა და პროფესიულ (საკონტრაქტო) სისტემაზე გადასვლა არის ერთადერთი სწორი გზა ძლიერი და ბრძოლისუნარიანი არმიის შესაქმნელად.

ძირითადი ნაწილი

ჩვენ შევეცდებით გავაკეთოთ ამ მოსაზრების რევიზია. პირველ რიგში გავერკვეთ ძირითად ცნებებში:

დაკომპლექტების რესურსი - იგულისხმება მოქალაქეები, რომლებიც დგანან სამხედრო აღრიცხვაზე. იგი იყოფა ორ ნაწილად: პირველს განეკუთვნება „18-დან 27 წლამდე ასაკის პირი, რომელიც იმყოფება ან ვალდებულია იმყოფებოდეს წვევამდელთა სამხედრო აღრიცხვაზე და რომელსაც არ აქვს სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევისგან განთავისუფლების ან გაწვევის გადავადების საფუძველი“ (საქართველოს კანონი 2014, 3). ამ კატეგორიას ეწოდება „გასაწვევი რესურსი“. მეორეს განეკუთვნება „პირი რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დათხოვნილია რეზერვში და აქტიურ რეზერვში არ ირიცხება, ან „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 29- ე და 30-ე მუხლის საფუძველზე სარგებლობს სამხედრო სამსახურში გაწვევისგან განთავისუფლების ან სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების უფლებით და რომელსაც შეუსრულდა 27 წელი ან რომელმაც აღნიშნული ასაკის მიღწევამდე გამოთქვა სამობილიზაციო რეზერვში ჩარიცხვის სურვილი“ (საქართველოს კანონი 2018, 3). ამ კატეგორიას ეწოდება „სამობილიზაციო რესურსი“.

ზოგადად მიღებული მოსაზრების თანახმად, დაკომპლექტება არის სახელმწიფოს მიერ დადგენილი და სამხედრო სამართლის ნორმებით რეგულირებული, სამხედრო მოსამსახურეებით და სამოქალაქო პერსონალით არმიის უზრუნველყოფის სისტემა, როგორც მშვიდობიან, ასევე ომიანობის პერიოდში, ასევე სამხედრო ცოდნის მქონე ადამიანური რესურსის რეზერვის შექმნა.

დაკომპლექტება, როგორც პროცესი მიზანშეწონილია დავყოთ ოთხ შემადგენელ ნაწილად: დაკომპლექტება გასაწვევი რესურსით _ მშვიდობიანობის პერიოდში; დაკომპლექტება სამობილიზაციო რესურსით _ მშვიდობიანობის პერიოდში; დაკომპლექტება სამობილიზაციო რესურსით _ მობილიზაციის დროს; დაკომპლექტება გასაწვევი რესურსით _ ომიანობის პერიოდში.

ეს შემადგენლები ურთიერთდაკავშირებულია და წარმოადგენენ სახელმწიფოს სამხედრო ორგანიზაციის დაკომპლექტების ერთიანი სისტემას. ამ სტატიაში ჩვენ ძირითადად ვისაუბრებთ პირველ შემადგენელზე _ გასაწვევი რესურსით დაკომპლექტებაზე, მაგრამ, ორიოდ სიტყვით გვინდა შევეხოთ რეზერვის საკითხს.

როგორც მთლიანად თავდაცვის ძალების განუყოფელი ნაწილი, სარეზერვო კომპონენტი უზრუნველყოფს:

- შესაძლებლობების გაზრდას. ეს შესაძლებლობები უზრუნველყოფილია მაღალი ხარისხით, საიმედოობით და ძალების ხელმისაწვდომობით. სარეზერვო კომპონენტი ავსებს აქტიურ კომპონენტს თავდაცვის ძალების ამოცანების სრულ სპექტრში;
- აქტიური კომპონენტის და სარეზერვო კომპონენტის ინტეგრაციას. სარეზერვო კომპონენტი შეიძლება სრულად იყოს ინტეგრირებული ყველა სამშვიდობო და საბრძოლო მოქმედებებში და ჩაითვალოს მთლიანი თავდაცვის ძალების განუყოფელ ნაწილად;
- უპირატესობას. სარეზერვო კომპონენტით უზრუნველყოფილია მაღალი გამოცდილება და საბრძოლო უნარი, რომლის შენარჩუნება გაცილებით იაფია, ვიდრე აქტიურ კომპონენტში;
- ხარჯების შემცირებას. ერთ სულ მოსახლეზე სრულად დატვირთული სარეზერვო კომპონენტის ღირებულება როგორც წესი, არის აქტიური კომპონენტის ღირებულების ერთ მესამედზე ნაკლები;
- სამსახურის უწყვეტობას. სარეზერვო კომპონენტი ხელს უწყობს სამსახურის უწყვეტობას გამოცდილი პერსონალის მეშვეობით, რომლებიც ამაღლებენ თავდაცვის ძალების ეფექტურობას და მდგრადობას,

მოქნილი მექანიზმებით და ნაკლები ხარჯებით. სამსახურის ეს ვარიანტები სამხედრო სამსახურს უფრო მიმზიდველს ხდის (RFPB Report FY17-01 2016, 18).

სხვადასხვა ქვეყნების თავდაცვის ძალების დაკომპლექტების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მოჩვენებითი განსხვავების მიუხედავად, მათი რეალიზება ხდება ორი პრინციპით: დაქირავება ან სამხედრო ბეგარა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ მშვიდობიანობის პერიოდში არმიის დაკომპლექტებას საფუძვლად უდევს ან სამოქალაქო ვალდებულების შესრულება, ან ის რომ სამხედრო სამსახური არის პროფესია და შემოსავლის მიღების საშუალება.

ამა თუ იმ სახელმწიფოს თავდაცვის ძალების დაკომპლექტების სისტემა, დამოკიდებულია გარკვეულ ფაქტორებზე, რომლებიც ამ სისტემაზე ზემოქმედებენ.

ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რომელიც არის სამხედრო სამსახურის და ზოგადად თავდაცვის ძალების ყოლის ძირითადი მიზეზი არის საგარეო პოლიტიკური ფაქტორი. გარკვეული გარე საფრთხეების არსებობა, მსოფლიოს დაყოფა სხვადასხვა ეკონომიკური განვითარებისა და ცხოვრების დონის, სხვადასხვა რასისა და კონფესიური კუთვნილების სახელწიფოებად და სახელმწიფოთა კოალიციებად, ქმნის თავდაცვის ძალების ყოლის და შესაბამისად მშვიდობიანობის პერიოდში მასში სამსახურის აუცილებლობას.

შემდეგი ფაქტორი _ გეოსტარატეგიული. სახელმწიფოს განლაგება, მისი ტერიტორიის ფართობი, სახმელეთო და საზღვაო საზღვრების სიგრძე, მოსაზღვრე სახელმწიფოების რაოდენობა, მათი სამხედრო სიძლიერე და მათთან დამოკიდებულება _ არის ის, რასაც გულისხმობს გეოსტრატეგიული ფაქტორის არსი. სახელმწიფოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის გათვალისწინებით აღნიშნული ფაქტორი განაპირობებს თავდაცვის ძალების სტრუქტურასა და რიცხოვნობას.

სახელწიფოს თავდაცვის ძალების დაკომპლექტების პრინციპი დამოკიდებულია ისეთ ფაქტორზეც, როგორიცაა სახელმწიფო იდეოლოგია და საზოგადოების მიერ მისი აღქმის დონე. სახელემწიფო იდეოლოგიას ქმნის პოლიტიკური ელიტა. ამასთან, თუ დანარჩენი საზოგადოება ამ იდეოლოგიას აღიქვამს, როგორც თავისას, მაშინ იგი ხდება ეროვნული და ხელს უწყობს საზოგადოების ერთსულოვნებას. თუ სახელმწიფო იდეოლოგია საზოგადოების დიდი ნაწილისათვის არის მიუღებელი, მაშინ ეს მიუთითებს კრიზისის გამწვავებაზე. ამასთან საზოგადოების სიჯანსაღის ერთ-ერთი მაჩვენებელი არის მშვიდობიან პერიოდში არმიაში სამსახურისადმი მისი წევრების დამოკიდებულება.

შემდეგი ფაქტორი _ შეიარაღებული ბრძოლის საშუალებები და ხერხები. მათი განვითარებისა და სირთულის დონე განსაზღვრავს იმ მომზადების შინაარსს, რომლებიც მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ სამხედრო სამსახურში გაწვევამდე. გარდა ამისა ეს ფაქტორი განსაზღვრავს, თუ რა პირადი თვისებები უნდა ჰქონდეს მოქალაქეს, რომელიც მიდის სამხედრო სამსახურში (მოტივაცია, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ფიზიკური და ინტელექტუალური განვითარება, განათლების დონე, ემოციურ-ნებისყოფითი თვისებები და სხვ).

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორებისა დაკომპლექტების სისტემაზე გავლენას ახდენს დემოგრაფიული ფაქტორი. იგი გულისხმობს მოსახლეობის შემადგენლობას, წვევამდელი და გასაწვევი ასაკის მოსახლეობის რაოდენობას, მათ თვისობრივ მახასიათებლებს. ზუსტად ამ მახასიათებლების მეშვეობით გამოიხატება სუბიექტური, შინაგანი შესაძლებლობები დაკომპლექტების სისტემის ობიექტის - მოქალაქის, რომელსაც სამხედრო სამსახურში იწვევენ (მიდის).

ობიექტური შესაძლებლობები განსაზღვრავენ ეკონომიკურ ფაქტორს. ერთის მხრივ ამ ფაქტორის არსი განსაზღვრავს თავისი ეკონომიკური პოტენციალიდან და ფინანსური შესაძლებლობიდან გამომდინარე, როგორი რიცხოვნობის და დაკომპლექტების წესის არმიის შენახვის შესაძლებლობა აქვს ქვეყანას. მეორეს მხრივ ამ ფაქტორის არსი განსაზღვრავს თუ დაკომპლექტების და მოქალაქეების გაწვევისთვის მომზადების როგორი სისტემა შეუძლია შექმნას სახელმწიფომ.

გარდა ამისა ობიექტურ გარე ფაქტორს წარმოადგენს გაწვევის სამართლებრივი ბაზა. გაწვევის საკანონმდებლო უზრუნველყოფა და გაწვევის შეზღუდვა, სამხედრო სამსახურის წესის და ხანგრძლივობის განსაზღვრა, სხვა სამართლებრივი დებულებები წარმოადგენს ფაქტორს, რომელიც განსაზღვრავს სისტემის შესაძლებლობებს (Гацко, Зарубежное военное обозрение. 2009, 31-2).

ასეთი მიდგომები გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ გარკვეული ობიექტური წინააღმდეგობების არსებობა: აუცილებლობას შორის წინააღმდეგობა, ე.ი. მშვიდობიან პერიოდში თავდაცვის ძალების მოთხოვნას განსაზღვრული ცოდნის, უნარის, ჩვევებისა და ხარისხის წვევამდელებზე ან სამხედრო სამსახურში მიმსვლელებზე _ ერთის მხრივ, და სახელმწიფოს ეკონომიკური, დემოგრაფიული, იდეოლოგიური და სოციალურ-სამართლებრივი შესაძლებლობები ამ მოთხოვნების უზრუნველსაყოფად _ მეორეს მხრივ; წინააღმდეგობები სახელმწიფოს ეკონომიკური, დემოგრაფიულ, იდეოლოგიურ და სოციალურ-სამართლებრივ შესაძლებლობებსა და მის რეალურ მდგომარეობას შორის, ააწყოს და აამუშაოს დაკომპლექტების სისტემა.

განხილული ფაქტორების შინაარსი და დასახელებული წინააღმდეგობების გამწვავების ხარისხი აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული ჩვენი ქვეყნის სამხედრო ორგანიზაციის დაკომპლექტების სისტემის სრულყოფის პროცესში.

მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების თავდაცვის ძალების სამხედრო მოსამსახურეებით დაკომპლექტების ანალიზმმა დაგვანახა, რომ ეს პროცესი ხორციელდება შემდეგი ძირითადი ხერხებით:

1. საყოველთაო სამხედრო ვალდებულების საფუძველზე, სამხედრო სამსახურში მოქალაქეთა გაწვევის გზით;
2. ნებაყოფლობით საფუძველზე, სამხედრო მოსამსახურეების კონტრაქტით მიღება;
3. შერეული, საყოველთაო სამხედრო ვალდებულების კანონისა და ნებაყოფლობით სამხედრო მოსამსახურეების კონტრაქტით მიღების საფუძველზე;
4. მილიციური ხერხი, რომელიც ხორციელდება საყოველთაო სამხედრო ბეგარის შესახებ კანონის საფუძველზე.

მსოფლიო წამყვანი სამხედრო სპეციალისტების აზრით გაწვევით არმიის დაკომპლექტება აუცილებელია შემდეგი გარემოებების გამო:

- სახელმწიფოს მსხვილმასშტაბიანი აგრესიისაგან დასაცავად;
- ხელს უწყობს სხვადსხვა კლასის, ეთნიკური, რელიგიური და კულტურული ფენის წარმომადგენელ ახალგაზრდათა სოციალურ დარაზმვას;
- უზრუნველყოფს სახელმწიფოსა და ხალხს შორის უფრო ეფექტურ თანამშრომლობას;
- ამით უზრუნველყოფილია თავდაცვის ძალების რეგულარული განახლება, ასევე სახელმწიფოს მიერ სამხედრო ცოდნის მქონე სამობილიზაციო რესურსის მუდმივი მომზადების შესაძლებლობა.

გარდა ამისა არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ წვევამდელი შედარებით იაფი უჯდება სახელმწიფოს, ვიდრე დაქირავებული სახედრო მოსამსახურე. აქედან გამომდინარე სახელმწიფო, რომელსაც არ გააჩნია საკმარისი ფინანსები თავდაცვის ძალების შესანახად, იყენებს წვევამდელებით დაკომპლექტების ხერხს.

თავდაცვის ძალების წვევამდელებით დაკომპლექტების ხერხის ძირითად ნაკლოვანებებს განეკუთვნება:

- სამხედრო მოსამსახურეების პროფესიული მომზადების არასაკმარისი დონე;
- მათი ნაკლები დაინტერესება საბრძოლო მომზადების შედეგებით;
- როგორც წესი, სამხედრო მოსამსახურეების სოციალური და სამართლებრივი დაცვის შედარებით დაბალი დონე.

აქვე გასათვალისწინებელია, რომ გაწვევით დაკომპლექტებული არმიების გამოყენება უფრო რაციონალურია ფართომასშტაბიანი ოპერაციების ჩატარებისას მოწინააღმდეგის აგრესიის მოგერიების დროს. ამასთან წვევამდელების დაკომპლექტებული არმიის გამოყენება მიზანშეუწონელია ქვეყნის ფარგლებს გარეთ. ამ ოპერაციებში საჭიროა სპეციალურად გაწრვთნილი სამხედრო მოსამსახურეების პროფესიული კონტინგენტი. უფრო მეტიც, ამგვარ ოპერაციებში წვევამდელთა კონტინგენტის გამოყენება მსოფლიოს მრავალ სახელმწიფოში კანონმდებლობით იკრძალება.

წვევამდელებით დაკომპლექტებული არმიები აბსოლუტური სახით დღეს მსოფლიოში ფაქტობრივად აღარ გვხვდება. ჩინეთის არმიაშიც კი, სადაც მილიონობით რიგითი და უმცროს მეთაურთა შემადგენლობა მსახურობს გაწვევით, ასევე არსებობს მოქალაქეთა ნებაყოფლობითი სამხედრო სამსახური კონტრაქტით. ერთადერთი სახელმწიფო, რომლის თავდაცვის ძალები ჯერაც კომპლექტდება ძირითადად წვევამდელებით არის ისრაელი.

რაც შეეხება მილიციურ არმიას. ეს არის არმია, რომელშიც მშვიდობიანობის პერიოდში არის მხოლოდ სამეთაურო კადრების ნაწილი და აღრიცხვის პერსონალი. მთელი ცვალებადი შემადგენლობა და სამეთაურო კადრების ნაწილი სამხედრო ნაწილზე მიწერილია იმ დასახლებული პუნქტებიდან, რომლის მაცხოვრებლებიც ვალდებულნი არიან სამხედრო ნაწილში გამოცხადდნენ მობილიზაციის გამოცხადებიდან 12 საათის შემდეგ. ისინი სამსახურს გადიან მოკლევადიანი სასწავლო შეკრებების გავლით. თანამედროვე სახელმწიფოებს შორის მილიციური არმია არსებობს მხოლოდ შვეიცარიაში.

ახლა განვიხილოთ დაკომპლექტების შერეული ხერხი, რომელიც ჩვენი აზრით საქართველოს თავდაცვის ძალების დაკომპლექტების ყველაზე ოპტიმალური ფორმაა.

თავდაცვის ძალების დაკომპლექტების შერეულ ხერხში ჩვენ ვგულისხმობთ, რომ დანაყოფის ის თანამდებობები, რომლებიც განსაზღვრავენ მისი საბრძოლო მზადყოფნისა და ბრძოლისუნარიანობის დონეს, რომელთა მომზადებას სჭირდება მეტი დრო და დიდი რესურსი, უნდა დაკომპლექტდეს საკონტრაქტო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებით, ხოლო დანარჩენი თანამდებობები წვევამდელებით.

მაგალითისთვის განვიხილოთ მექანიზებული ათეული ქვეითთა საბრძოლო მანქანაზე. მისი შემადგენლობა შემდეგია:

1. ათეულის მეთაური - 1
2. ჯგუფის მეთაური - 2
3. მეტყვიამფრქვევე - 2
4. ლულისქვეშა ყუმბარმტყორცნელი - 2
5. მსროლელი-საბრძოლო მაშველი - 2
6. მძღოლი-მექანიკოსი - 1
7. მემიზნე-ოპერატორი - 1

სულ: 11 სამხედრო მოსამსახურე.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ 1, 2, 6 და 7 ნომრის თანამდებობები (5 პერსონალი) უნდა დაკომპლექტდეს კონტრაქტით, ხოლო დანარჩენი (6 პერსონალი) - წვევამდელებით.

დღეს მოქმედი საკანონმდებლო ბაზა არეგულირებს ურთიერთობებს კონტრაქტით მომსახურე სამხედრო პირებთან. რაც შეეხება საყოველთაო სავალდებულო სამსახურში გაწვეულ პირებს, გვინდა შემოგთავაზოთ ამ პრობლემის გადაჭრის ჩვენეული ხედვა.

მიგვაჩნია, რომ მათი გაწვევა უნდა მოხდეს ტერიტორიული პრინციპით. სამსახურის ვადა უნდა განისაზღვროს 12 თვით. სამსახურის პერიოდში, გარდა თავისი სპეციალობისა მათ შეიძლება შეისწავლონ ათეულის (ეკიპაჟის, გათვლის და სხვა) სხვა მომიჯნავე სპეციალობაც. მათ შეიძლება ჰქონდეთ უფლება ყოველდღიურად სამსახურის შემდეგ დაბრუნდნენ სახლებში, გარდა განწესში ყოფნისა (შაბათი, კვირა დასვენების დღე). თავადაცვის ძალებში სამსახურის პერიოდში მათ უნდა დაენიშნოთ ხელფასი 200 _ 300 ლარის ოდენობით. თადარიგში დათხოვნის შემდეგ ისინი უნდა ჩაირიცხონ რეზერვში და მიეწერონ იმ სამხედრო ნაწილს, სადაც მსახურობდნენ ან სხვა დანაყოფს, რომელშიც ისინი შემდგომში გაივლიან შეკრებებს, იმ სამხედრო-სააღრიცხვო სპეციალობით, რომელიც მათ ეკავათ ან რომელიც მომიჯნავედ აითვისეს სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის დროს. რეზერვში სამსახურის პერიოდში ისინი სპეციალური ხელშეკრულებით აგრძელებენ ურთიერთობას თავდაცვის ძალებთან.

დასკვნა

თავდაცვის ძალების დაკომპლექტების ეს წესი საშუალებას მოგვცემს არსებული სამხედრო დანაყოფები შევავსოთ სრულ შტატამდე, მობილიზაციის შემთხვევაში გასაშლელი სარეზერვო დანაყოფები დავაკომპლექტოთ პირადი შემადგენლობით და ასევე შევავსოთ ომის დროს მიღებული სამედიცინო დანაკარგები.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ თავდაცვის ძალების დაკომპლექტების აღნიშნული მოდელი სრულად შეესაბამება ჩვენი ქვეყნის როგორც ინტერესებს, ასევე მის შესაძლებლობებს.

გამოყენებული ლიტერატურა

- საქართველოს კანონი „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“-2014 წლის 29 ივლისი, თავი 2, მუხლი 9;
- საქართველოს კანონი „თავდაცვის ძალების რეზერვისა და სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“-2018 წლის 31 ოქტომბერი,თავი 3,მუხლი 10
- „IMPROVING THE TOTAL FORCE USING THE NATIONAL GUARD AND RESERVES“, A Report for the transition to the new administration by The Reserve Forces Policy Board. RFPB Report FY17-01. www.rfpb.defense.gov.
- Гацко М. „Способы комплектования военнослужащими вооруженных сил иностранных государств“, Зарубежное военное обозрение. #1(2009). стр. 31-32